



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

THE USAID ECONOMIC
SECURITY PROGRAM

კვლევის ანგარიში

ინვესტიციებისა და ექსპორტის ხელშეწყობა
საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირს შორის
დიაგნოსტური კუმულაციის გზით

დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პოზიციას.

სარჩევი

მიმოხილვა	1
შესავალი	1
კვლევის მეთოდოლოგია	3
დიაგნოსტური კუმულაცია	5
საქართველო-თურქეთი-ევროკავშირის სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და ვაჭრობის მოკლე მიმოხილვა	6
დიაგნოსტური კუმულაციის გზით საექსპორტო პროდუქტების წარმოების განვითარების მაგალითები საქართველოში	18
1. ღირებულებათა ჯაჭვი: პლასტმასი	18
პროდუქტი: უქსოვადი ერთჯერადი ქირურგიული ხალათები	19
პროდუქტების ჯგუფი: შესაფუთი ტომრები	21
პროდუქტი: მოქნილი შუალედური კონტეინერები დაუფასოებელი პროდუქციისთვის	21
პროდუქტი: შესაფუთი ჩანთები და ტომრები	23
2. ღირებულებათა ჯაჭვი: ალუმინი	25
ნახევრად მზა პროდუქტი: ალუმინის შენადნობებისაგან დამზადებული პროფილები	25
პროდუქტი: კარები, ფანჯრები და მათი ჩარჩოები და ზღურბლები კარებისთვის	28
პროდუქტი: ალუმინის გათბობის რადიატორები	28
ნახევრად მზა პროდუქტი: ალუმინის შენადნობებისაგან დამზადებული ფირფიტები, ფურცლები და ზოლები	29
პროდუქტი: ალუმინის კომპოზიტური პანელები	31
პროდუქტი: ველოსიპედები ბურთულიანი საკისრებით	32
პროდუქტი: ალუმინისგან დამზადებული საგზაო ბორბლები	35
3. პროდუქტი: ზამბარიანი მატრასები	38
4. პროდუქტების ჯგუფი: საყოფაცხოვრებო ელექტრონული მოწყობილობები	41
პროდუქტი: საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭლის სარეცხი მანქანები	41
პროდუქტი: ავტომატური სარეცხი მანქანები, მშრალი სარეცხის ტევადობა <6 კგ	43
5. ღირებულებათა ჯაჭვი: ტექსტილი/ბამბა	46
პროდუქტი: საოჯახო თეთრეული, დაპრინტული, ბამბის, არა ნაქსოვი ან ხელით ნაქარგი	46
პროდუქტი ქალის, გოგონას შარვალი და შორტები, ბამბის, არანაქსოვი	49
6. პროდუქტი: ფეხსაცმელი	52

მიმოხილვა

ანგარიში მომზადებულია USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში, პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რომელიც 2021 წლის ნოემბრიდან 2022 წლის მაისამდე განხორციელდა, საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირის შორის დიაგნოსტური კუმულაციის გზით ინვესტიციისა და ექსპორტის ხელშეწყობისთვის. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, რის შედეგადაც გამოვლინდა რამდენიმე სამაგალითო პროდუქტი, რომელთა წარმოებაც შეიძლება ეკონომიკურად მიმზიდველი იყოს დიაგნოსტური კუმულაციის კრილში - რაც გულისხმობს პროდუქტის საქართველოში წარმოებას თურქული ნედლეულისა და შუალედური პროდუქტის გამოყენებით, შემდგომში ევროკავშირში საექსპორტოდ. კვლევის ანგარიში ასევე მოიცავს ქართული და თურქული კომპანიების ჩამონათვალს, რომლებიც შესაძლოა დაინტერესდნენ აღნიშნული პროდუქციის წარმოებით საქართველოში.

შესავალი

2021 წლის 29 აპრილიდან, საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირის შორის ამოქმედებული დიაგნოსტური კუმულაციის თანახმად, თურქული ნედლეულის გამოყენებით საქართველოში წარმოებული პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოკლებით), თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით არის შესაძლებელი.¹ დიაგნოსტური კუმულაცია, ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის პოტენციალის ზრდასთან ერთად, ასევე ხელს შეუწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შემოდინებას თურქეთიდან. ამასთან, ქართველი და თურქი მეწარმეების მიერ ერთობლივი კომპანიების შექმნის ხელშეწყობით, დიაგნოსტური კუმულაცია წახალისებს ინოვაციებს და შექმნის ახალ მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს.

საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირის შორის დიაგნოსტური კუმულაციის გზით ინვესტიციებისა და ექსპორტის წახალისების მნიშვნელობას ხაზი გაესვა USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მიერ ორგანიზებულ საჯარო-კერძო დიალოგის (PPD) სესიაზე, რომელიც საქართველოში მსუბუქი მრეწველობის სექტორის, კერძოდ კი ავეჯისა და შესაფუთი მასალების ღირებულებათა ჯაჭვების განვითარებას ეძღვნებოდა. დიალოგის სესიაზე², ბიზნეს ასოციაციებმა და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა (განსაკუთრებით მათ, ვინც პროდუქციის ექსპორტს ევროკავშირის ბაზარზე ახორციელებს) დამაჯერებლად წარმოაჩინეს, რომ ხსენებულ ღირებულებათა ჯაჭვებს საერთაშორისო დონეზე ზრდის დიდი პოტენციალი აქვთ; შესაბამისად, მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დიაგნოსტური კუმულაციის ეფექტური გამოყენება ავეჯისა და შესაფუთი მასალების

¹ dcfta.gov.ge/en/news/227

² USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში საჯარო-კერძო დიალოგის სესია მსუბუქი მრეწველობის სექტორზე გაიმართა 2021 წლის 19 აპრილს, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან (MoESD) ერთად.

ღირებულებათა ჯაჭვების კონკურენტუნარიანობის გაზრდაში განსაკუთრებულ როლს ითამაშებს.

ამის გათვალისწინებით, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამამ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ (MoESD) განსაკუთრებული პრიორიტეტი მიანიჭეს კერძო სექტორის მხარდაჭერას, დიაგნოსტიკური კუმულაციის გზით სარგებლის მიღების უზრუნველსაყოფად. ამისთვის, სამინისტროსთან თანამშრომლობითა და საჯარო-კერძო დიალოგის მიდგომის გამოყენებით, მათ შორის, სამინისტროს სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს (TAG)³ ჩართულობით, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დიაგნოსტიკური კუმულაციის შესაძლებლობების კომპლექსური კვლევა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ინვესტიციების მოზიდვისა და ექსპორტის წახალისებისთვის ყველაზე პერსპექტიული სექტორებისა და ღირებულებათა ჯაჭვების გამოვლენა; ასევე, მინიმუმ ასი (100) თურქული და ქართული კომპანიის იდენტიფიცირება, რომლებიც შესაძლოა დაინტერესებულნი იყვნენ გამოვლენილი პროდუქტების წარმოებით, საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირის შორის დიაგნოსტიკური კუმულაციის ქრილში.

კომპლექსური რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ჩატარების შედეგად, PMCG-ის მკვლევართა ჯგუფის მიერ:

- ✓ გამოვლინდა ყველაზე პერსპექტიული სექტორები და ღირებულებათა ჯაჭვები, რომლებსაც შეუძლიათ მეტი სარგებელი ნახონ დიაგნოსტიკური კუმულაციის შედეგად; ესენია: შესაფუთი მასალებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (PPE⁴) წარმოება; ავეჯის, ტანსაცმლის, ტექსტილისა და ფეხსაცმლის წარმოება; სამშენებლო მასალების წარმოება; ველოსიპედების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაწილებისა და საყოფაცხოვრებო ელექტრონული მოწყობილობების წარმოება.
- ✓ გამოვლინდა მთელი რიგი თურქული ნედლეული/მასალები⁵, რომლებიც შეიძლება გამოყენებული ან დამატებული იყოს საქართველოში წარმოებულ პროდუქციაში დიაგნოსტიკური კუმულაციის მიზნებისთვის, მათ შორის: პლასტმასი, ნაქსოვი და უქსოვადი ქსოვილი; ბამბა, ტყავი, რეზინი; ალუმინი; მოტორები, ტუმბოები, ელექტრონული მართვის მოწყობილობები და კომპონენტები; და სხვა.
- ✓ პრიორიტეტული სექტორებიდან/ღირებულებათა ჯაჭვებიდან გამოვლინდა თექვსმეტი (16) პროდუქტი, რომელთა წარმოება საქართველოსთვის ეკონომიკურად ყველაზე მიმზიდველი იქნება თურქული ნედლეულის გამოყენებით, და რომელთა ექსპორტიც ევროკავშირში შემდეგ უკვე შესაძლებელია განხორციელდეს პირდაპირ საქართველოდან, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით. იდენტიფიცირებული პროდუქტები ჩამოთვლილია ცხრილი 1-ში:

³ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მუდმივმოქმედი პლატფორმა, საჯარო და კერძო სექტორებს შორის ვაჭრობის საკითხებზე კონსულტაციისთვის, რომელიც შეიქმნა USAID მმართველობა განვითარებისთვის (G4G) პროგრამის ფარგლებში.

⁴ PPE – Personal Protective Equipment

⁵ „მასალა“ ნიშნავს ნებისმიერ ინგრედიენტს, ნედლეულს, კომპონენტს ან ნაწილს და ა.შ., რომელიც გამოიყენება პროდუქტის წარმოებაში.

ცხრილი 1: გამოვლენილი პროდუქტები და შესაბამისი ნედლეული, სექტორები/ღირებულებათა ჯაჭვები ან ინდუსტრიები

ძირითადი პროდუქტები

პლასტმასი

- | | |
|--|----------------------------------|
| 1 მოქნილი შუალედური კონტეინერები, დაუფასოვებელი პროდუქციისთვის (HS კოდი: 63053219) | შესაფუთი მასალები |
| 2 პოლიპროპილენის ჩანთები და ტომრები (HS კოდი: 63053390) | შესაფუთი მასალები |
| 3 უქსოვადი ერთჯერადი ქირურგიული ხალათები (HS კოდი: 62101092) | ინდივიდუალური დაცვის საშუალებები |

ალუმინი

- | | |
|---|--|
| 4 ნახევრად მზა პროდუქტი: ალუმინის პროფილები (HS კოდი: 76042990) | სამშენებლო მასალები |
| 5 პროდუქტი: კარები/ფანჯრები (HS კოდი: 761010) | სამშენებლო მასალები |
| 6 პროდუქტი: რადიატორები (HS კოდი: 7616991091) | სამშენებლო მასალები |
| 7 ნახევრად მზა პროდუქტი: ალუმინის ფირფიტები და ფურცლები (HS კოდი: 760612) | სამშენებლო მასალები |
| 8 პროდუქტი: კომპოზიტური პანელები (HS კოდი: 76169990) | სამშენებლო მასალები |
| 9 ველოსიპედები (HS კოდი: 87120030) | სატრანსპორტო საშუალებები |
| 10 ალუმინის დისკები ავტომობილისთვის (HS კოდი: 8708705050) | ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაწილები |
| 11 მატრასები (HS კოდი: 94042910) | ავეჯი |

სხვა პროდუქტები

სხვადასხვა მასალები

- | | |
|--|--|
| 12 სარეცხი მანქანები (HS კოდი: 845011) | საყოფაცხოვრებო ელექტრონული მოწყობილობები |
| 13 ჭურჭლის სარეცხი მანქანები (HS კოდი: 842211) | საყოფაცხოვრებო ელექტრონული მოწყობილობები |

ბამბა

- | | |
|--|------------|
| 14 შარვლები და შორტები (HS კოდი: 620462) | ტანსაცმელი |
| 15 საწოლის თეთრეული (HS კოდი: 630221) | ტექსტილი |
| 16 ფეხსაცმელი (HS კოდი: 640399) | ფეხსაცმელი |

ანგარიშში დეტალურად არის წარმოდგენილი კვლევის მეთოდოლოგია, დიაგნოსტიკური კუმულაციის, იდენტიფიცირებული სექტორებისა და ღირებულებათა ჯაჭვების, ასევე, შესაბამისი მასალებისა და პროდუქტების მიმოხილვა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, რომელიც დაეფუძნა სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული შესაბამისი კვლევების ანალიზს, სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლების ჯგუფურ და ინდივიდუალურ ჩაღრმავებულ ზეპირ და წერილობით

ინტერვიუებსა და გამოკითხვას, ღია წყაროების გამოყენებით მაკროეკონომიკური მაჩვენებლების კვლევასა და ანალიზს, ღია ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენებით ეკონომეტრიკულ ანალიზსა და კვლევის მიზნებისთვის სპეციალურად შექმნილ ეკონომეტრიკულ მოდელს.

კვლევა შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან:

- I. კომპონენტი: თურქეთის არსებული საექსპორტო პროდუქტის წარმოების საქართველოში გადმოტანა.
- II. კომპონენტი: საქართველოში განვითარებული სექტორების/კლასტერების მიერ თურქული შუალედური ნედლეულის გამოყენება.
- III. კომპონენტი: კომპანიების შერჩევის მეთოდოლოგია.

პირველი კომპონენტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, გაანალიზდა თურქეთის არსებული, დიდწილად თურქული ნედლეულისა და შუალედური პროდუქტების გამოყენებით წარმოებული საქონლის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე და შეირჩა პოტენციური პროდუქტების სია, ძირითადად წინამდებარე კვლევისთვის სპეციალურად შექმნილი მოდელის გამოყენებით. მოდელი დაეფუძნა შემდეგ კრიტერიუმებს:

- HS 6-ნიშნა დონეზე თურქეთიდან ევროკავშირში უმსხვილესი სამრეწველო ექსპორტი 2016-2020 წწ.
- აღნიშნული ექსპორტის წილი (ევროკავშირში ანალოგიური პროდუქტის ჯამურ იმპორტში)
- აღნიშნული ექსპორტის წლიური ზრდა ევროკავშირის ბაზარზე (CAGR)
- აღნიშნულ პროდუქტებზე ევროკავშირის საბაჟო ტარიფი (MFN Average, WTO)
- აღნიშნული პროდუქტის გამოვლენილი შედარებითი უპირატესობა (oec.world)

მეორე ეტაპზე, ზემოაღნიშნული შერჩეული პროდუქტების სიიდან განისაზღვრა ძირითადი პროდუქტების სია, შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით (ინტერნეტ კვლევის მეთოდით, მონაცემებზე ხელმისაწვდომობის ფარგლებში):

- პროდუქტის წარმოშობის კრიტერიუმები
- პროდუქტის წარმოებისთვის საჭირო ნედლეული
- პროდუქტის წარმოებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები, ზოგადი სექტორის/ღირებულებათა ჯაჭვის დონეზე და კონკრეტული პროდუქტის დონეზე შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

მესამე ეტაპზე მოძიებულ იქნა აღნიშნული პროდუქტების ან მათთან დაკავშირებული დარგების საქართველოში არსებული წარმოებები, ინტერნეტ კვლევისა და გამოკითხვის მეთოდით და განხორციელდა ჩაღრმავებული სტრუქტურირებული ინტერვიუები.

მეორე კომპონენტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამისა და MoESD-ის ორგანიზებით, გაიმართა შეხვედრა კერძო სექტორთან, მრეწველობის დარგის წარმომადგენლებთან, TAG-ის ფორმატში. შეხვედრის მიზანი იყო პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და პირველადი გამოკითხვის ჩატარება თურქეთთან საწარმოო თანამშრომლობის არსებული მდგომარეობისა და პოტენციალის

შესახებ. შეხვედრა გაიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის მონაწილეობით. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა და გამოყენებულ იქნა ონლაინ გამოკითხვის მომზადების პროცესში. კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა TAG-ის წევრ ორგანიზაციებში შემავალი კომპანიებისა და დამატებით მოძიებული საქართველოში მოქმედი საწარმოების ონლაინ გამოკითხვა, სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით.

შემდგომ ეტაპზე, გაანალიზდა საქართველოში ინდუსტრიული პროდუქციის წარმოების პოტენციალთან დაკავშირებით არსებული კვლევები (USAID, UNIDO, GIZ, და სხვა) და შედარებულ იქნა პირველი კომპონენტის ფარგლებში მიღებულ შედეგებთან, ურთიერთკავშირის იდენტიფიცირების მიზნით.

მესამე კომპონენტის ფარგლებში, ქართული კომპანიების შერჩევის მიზნით გამოყენებულ იქნა PMCG-ის ბაზა, რომელიც შემდგომ განახლდა TAG-თან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამასთან კონსულტაციების შედეგად.

თურქული კომპანიების შერჩევისათვის ძირითადად გამოყენებულ იქნა ინტერნეტ კვლევის მეთოდები. ინტერნეტში მოძიებული სექტორალური კვლევების საფუძველზე შესწავლილ იქნა თურქეთში, შესაბამის სექტორში, მოქმედი ასოციაციები და კლასტერები. აღნიშნული ასოციაციებისა და კლასტერების მიერ გამოქვეყნებული წევრი კომპანიების შესახებ ინფორმაციის მეშვეობით შედგენილ იქნა კომპანიების სია. კომპანიების შერჩევისას უპირატესობა მიენიჭა: საერთაშორისო გამოცდილებას, წარმოების პოტენციალს, ქალ მეწარმეებსა და მმართველებს.

დიაგნოსტიკური კუმულაცია

იმისათვის, რომ კვლევის მომხმარებლისათვის იოლად აღსაქმელი იყოს კვლევის შედეგები, მიზანშეწონილია გავცეთ პასუხები შემდეგ კითხვებს:

- რა არის საქონლის წარმოშობის წესები?

საქონლით საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვანია დადგენილ იქნას საქონლის „ეკონომიკური“ წარმოშობა იმისათვის, რომ განისაზღვროს საბაჟო გადასახადები და ექვივალენტური ზომები, ან სხვა ნებისმიერი შეზღუდვა ან ვალდებულება, რომელიც უკავშირდება საქონელს საერთაშორისო ვაჭრობისას. ორ ან რამდენიმე ქვეყანას შორის მოქმედი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით დგინდება საქონლის წარმოშობის წესები, რომლითაც განისაზღვრება საქონლის იმპორტის რეჟიმი, პრეფერენციული ან არაპრეფერენციული.

- რას ნიშნავს პრეფერენციული წარმოშობის წესები?

პრეფერენციული წარმოშობის წესები განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ შეთანხმებაში მონაწილე ერთ ქვეყანაში წარმოებულმა საქონელმა ისარგებლოს საშეღავათო რეჟიმით მეორე ქვეყანაში იმპორტისას. პრეფერენციული

წარმოშობის კრიტერიუმები ძირითადად მოითხოვს საქონლის წარმოებისას დადგენილი ტიპის, საკმარისი დამუშავების ან გადამუშავების პროცესის გავლას. პრეფერენციული რეჟიმით სარგებლობს ქვეყანაში მთლიანად წარმოშობილი საქონელიც.

- რა არის კუმულაცია?

თანამდეროვე წარმოებაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საბოლოო საქონელი იწარმოება სხვადასხვა ქვეყნის ნედლეულის ან/და შუალედური პროდუქტის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნებს შორის მოქმედებს საერთო წარმოშობის წესები და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, საბოლოო საექსპორტო პროდუქტში ხდება მათი წარმოშობის კუმულაცია, რაც ამ პროდუქტს პრეფერენციულ სტატუსს ანიჭებს. კუმულაციის შემთხვევაში, საქონლის წარმოებისას დადგენილი ტიპის საკმარისი დამუშავება ან გადამუშავების პროცესის გავლა არ მოითხოვება, თუმცა საწარმოო ოპერაციები უნდა აღემატებოდეს წარმოშობის წესებით დადგენილ მინიმალურ ოპერაციებს.

აღსანიშნავია, რომ არსებობს ორმხრივი, დიაგონალური და სრული კუმულაცია.

- რა არის დიაგონალური კუმულაცია?

დიაგონალური კუმულაცია მოქმედებს ორზე მეტ ქვეყანაში. შესაბამისად, რადგან საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირს აქვთ გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო რეჟიმები ერთმანეთთან და ერთმანეთში ვაჭრობისას აღიარებენ იდენტური წარმოშობის წესებს არაპრეფერენციული ნედლეულის დამუშავება/გადამუშავებასთან დაკავშირებით, საქართველოში წარმოშობილი საქონელი ისარგებლებს პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმით დანარჩენ ორ ქვეყანაში იმპორტისას. მაგალითად, თურქეთსა და ევროკავშირში წარმოშობილი საქონელი შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოში საბოლოო პროდუქტის წარმოებაში და აღნიშნული პროდუქტი ჩაითვლება საქართველოში წარმოშობილად (შეთანხმება შეეხება მხოლოდ არასასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს).

საქართველო ↔ ევროკავშირი

↕ ↕

თურქეთი

საქართველო-თურქეთი-ევროკავშირის სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და ვაჭრობის მოკლე მიმოხილვა

თურქეთი


წარმოება: თურქეთში მრეწველობის სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ 2020 წელს 358 მლრდ ევრო შეადგინა, რაც ეკონომიკის მთლიანი გამოშვების 47%-ია, ხოლო სექტორის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი დამატებული ღირებულების 39%-ს (81 მლრდ ევრო) შეადგენდა. მრეწველობის

სექტორში 2020 წელს დასაქმებული იყო 4.3 მლნ ადამიანი, რაც ეკონომიკის მთლიანი დასაქმების 27%-ია.

მრეწველობის სექტორში გამოშვებული პროდუქციის ღირებულების საშუალო ზრდამ 2016-2020 წლების განმავლობაში 23% შეადგინა. ამ პერიოდში ყველაზე სწრაფად იზრდებოდა კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქტების წარმოება (30%), ქაღალდის და ქაღალდის პროდუქციის წარმოება (29%), ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება (29%), ძირითადი ლითონების წარმოება (27%), ლითონის პროდუქციის, დანადგარებისა და აღჭურვილობის შეკეთება (26%), მანქანებისა და აღჭურვილობების წარმოება (25%) და ავტოსატრანსპორტო საშუალებების წარმოება (25%).

მრეწველობის სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულების უდიდეს ნაწილს შეადგენს საკვები პროდუქტები⁶ (14%), ძირითადი ლითონები (11%), ავტოსატრანსპორტო საშუალებები (9%), ტექსტილი (8%), ლითონების ნაწარმი (6%), ელექტრო მოწყობილობები (6%), ქიმიკატები და ქიმიური პროდუქტები (5%), რეზინის და პლასტმასის პროდუქტები (5%), ტანსაცმელი (5%), მანქანები და მოწყობილობები (5%). მსგავსია მრეწველობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების განაწილება წარმოებული ძირითადი პროდუქტების ჯგუფების მიხედვით - უდიდესი წილის მქონე სამ ძირითად პროდუქციას შეადგენს საკვები პროდუქტები (10%), ტექსტილი (10%) და ძირითადი ლითონები (9%).

გრაფიკი 1: თურქეთში 2020 წელს გამოშვებული პროდუქციის ღირებულების განაწილება პროდუქტების ჯგუფების მიხედვით.



წყარო: Turkstat

⁶ საკვები პროდუქტები არ განიხილება ამ კვლევის მიზნებისათვის.

1-ელ ცხრილში მოცემულია პროდუქციის გამოშვებაში უდიდესი წილის მქონე ჯგუფებში წარმოებული ძირითადი პროდუქტების ჩამონათვალი ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის, NACE Rev. 2-ის მიხედვით (ცხრილში მოცემულია შესაბამისი განყოფილების⁷ პროდუქტები, რომელთა წილი ამ განყოფილებაში 10%-ს ან მეტს შეადგენს). 2020 წელს წარმოებული უმსხვილესი პროდუქტებია თუჯი, ფოლადი და ფეროშენადნობები (წილი მთლიან მრეწველობაში - 19%), ავტოსატრანსპორტო საშუალებები (17%), ზედა ტანსაცმელი (7%), ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები (7%), და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაწილები და აქსესუარები (7%). აღსანიშნავია, რომ პირველი ოთხი პროდუქტის გამოშვების ღირებულების საშუალო წლიური ზრდა 2016 წლიდან 2020 წლამდე აღემატება სექტორის საშუალო ზრდას (23%) და, შესაბამისად, 28%, 26%, 25% და 24%-ს შეადგენს.

ცხრილი 2: თურქეთში წარმოებული უმსხვილესი პროდუქცია


ეკონომიკური საქმიანობის განყოფილება და კლასი (NACE Rev. 2)	პროდუქციის ღირებულება, ათასი ევრო	წილი მთლიან მრეწველობაში	გამომავალი პროდუქციის ღირებულების წლიური ზრდის ტემპი (CAGR)
13 ტექსტილის წარმოება			
1310 ტექსტილის ბოჭკოს მომზადება და დართვა	6,756,785	5%	23%
1320 ტექსტილის წარმოება	5,821,908	5%	18%
1330 ტექსტილის გაწყოება	3,684,817	3%	20%
1392 ტექსტილის მზა ნაწარმის წარმოება, ტანსაცმლის გარდა	4,056,457	3%	24%
1393 ხალიჩების და ფარდაგების წარმოება	2,921,101	2%	27%
14 ტანსაცმლის წარმოება			
1413 სხვა ზედა ტანსაცმლის წარმოება	8,985,631	7%	20%
1414 საცვლების წარმოება	6,297,618	5%	18%
20 ქიმიკატები და ქიმიური პროდუქტების წარმოება			
2013 სხვა არაორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება	2,377,898	2%	30%
2016 პლასტმასის წარმოება პირველად ფორმებში	4,330,651	3%	29%
2030 საღებავების, ლაქების და ანალოგიური საღებავი ნივთიერებების წარმოება	2,642,735	2%	25%
22 რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება			
2211 რეზინის საბურავების და კაპერების წარმოება	1,972,827	2%	26%
2219 რეზინის და სხვა ნაწარმის წარმოება	2,115,964	2%	21%
2221 პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება	5,728,302	5%	22%
2222 პლასტმასის საფუთავების წარმოება	4,336,243	3%	26%
2229 პლასტმასის სხვა ნაწარმის წარმოება	4,024,650	3%	27%
24 ძირითადი ლითონების წარმოება			
2410 თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება	24,341,208	19%	28%
2442 ალუმინის წარმოება	4,592,052	4%	27%
25 ლითონის სხვა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა			
2511 ლითონის სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაწილების წარმოება	2,954,982	2%	16%
2562 მანქანათმშენებლობის ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები	3,028,468	2%	27%
27 ელექტრული მოწყობილობების წარმოება			
2711 ელექტროძრავების, გენერატორების და ტრანსფორმატორების წარმოება	2,136,601	2%	20%
2712 ელექტროგამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის წარმოება	2,216,589	2%	21%
2732 სხვა ელექტრონული და ელექტრული გამტარების და კაბელების წარმოება	3,338,374	3%	24%
2751 ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება	8,349,738	7%	25%
28 მანქანების და მოწყობილობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის			
2811 ძრავების და ტურბინების წარმოება	2,012,972	2%	27%
2825 არასაყოფაცხოვრებო მაცივრები და სავსებით ავტომატიზებული მოწყობილობების წარმოება	2,556,112	2%	24%
2830 სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება	2,333,091	2%	20%
29 ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მისამზღვრავების და ნახევარმანქანების წარმოება			
2910 ავტოსატრანსპორტო საშუალებების წარმოება	21,271,557	17%	26%
2932 სხვა ნაწილების და აქსესუარების წარმოება ავტოსატრანსპორტისთვის	9,286,333	7%	24%

წყარო: Turkstat

⁷ ორნიშნა კოდით აღნიშნული ჯგუფის.

ვაჭრობა: თურქეთის ექსპორტი მსოფლიოში, ისევე, როგორც ევროკავშირში 2011-2020 წლებში იზრდებოდა და საშუალო წლიურმა ზრდამ 5% შეადგინა. 2017 წლამდე მცირედით იზრდებოდა იმპორტიც მსოფლიოდან და ევროკავშირიდან, თუმცა, შემდგომ წლებში შემცირდა და საბოლოოდ, 2011-2020 წლებში, მსოფლიოდან იმპორტის საშუალო ზრდამ 0.6%, ხოლო ევროკავშირიდან იმპორტის საშუალო ზრდამ 0.5% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საპირისპირო ტენდენცია დაფიქსირდა - მცირედით გაიზარდა იმპორტი როგორც მსოფლიოდან, ისე ევროკავშირიდან და მცირედით შემცირდა ექსპორტი თურქეთიდან (გრაფიკი 2).

გრაფიკი 2: თურქეთის ვაჭრობა ევროკავშირთან და მსოფლიოსთან (მლნ. ევრო), 2011-2020.



წყარო: www.trademap.org


ევროკავშირი თურქეთის უდიდესი სავაჭრო პარტნიორია (ასევე ინვესტიციების წყარო). 2020 წელს თურქეთის იმპორტის 33.4% ევროკავშირიდან შევიდა, ხოლო ქვეყნის ექსპორტის 41.3% ევროკავშირში განხორციელდა. თურქეთი კი ევროკავშირის სიდიდით მე-6 სავაჭრო პარტნიორია. 2020 წელს ევროკავშირიდან ექსპორტის 3.6% (70 მლრდ ევრო) თურქეთში განხორციელდა (ამ მაჩვენებლით თურქეთი რუსეთსა (4.1%) და იაპონიას (2.8%) შორისაა), ხოლო ევროკავშირის იმპორტის 3.6% (63 მლრდ ევრო) თურქეთიდან შევიდა (ამ მაჩვენებლით თურქეთი რუსეთსა (5.6%) და იაპონიას (3.2%) შორისაა)⁸.

მე-3 და მე-4 გრაფიკებზე მოცემულია თურქეთის ევროკავშირთან და მსოფლიოსთან სავაჭრო საქონლის ძირითადი ჯგუფები. ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურა, სავაჭრო საქონლის უდიდესი ჯგუფებისათვის თითქმის ანალოგიურია ევროკავშირისა და მსოფლიოსათვის - თურქეთის ძირითად საექსპორტო პროდუქციას შეადგენს სატრანსპორტო საშუალებები, ტექსტილი, მანქანა დანადგარები, ლითონები, რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი, ხოლო ძირითადი საიმპორტო პროდუქცია სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და


⁸ https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=turkey-eu_-_international_trade_in_goods_statistics

მოწყობილობები, ლითონები, ქიმიური და მინერალური პროდუქტები. ამ უკანასკნელის წილი მნიშვნელოვნად მეტია მსოფლიოდან იმპორტში (გრაფიკი 3 და 4).

გრაფიკი 3: თურქეთის სამრეწველო პროდუქციის (HS 25-96) იმპორტი ევროკავშირიდან და მსოფლიოდან (მლრდ ევრო), 2020.




გრაფიკი 4: თურქეთის სამრეწველო პროდუქციის (HS 25-96) ექსპორტი ევროკავშირთან და მსოფლიოსთან (მლრდ ევრო), 2020.



წყარო: www.trademap.org

თურქეთის ევროკავშირში საექსპორტო უმსხვილესი საქონელია სატრანსპორტო საშუალებები (წილი სამრეწველო პროდუქციის ექსპორტში ევროკავშირში 22%), ბირთვული რეაქტორები, ორთქლის ქვაბები, დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები (12%), ელექტრული მანქანები და მოწყობილობები (6%), შავი ლითონები (4.3%), პლასტმასები და მათი ნაწარმი (4%), ხოლო ევროკავშირიდან ძირითად საიმპორტო საქონელს შეადგენს მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები (16.7%), ბირთვული რეაქტორები, ორთქლის ქვაბები, დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები (16.6%), შავი ლითონები (9%), ელექტრული მანქანები და მოწყობილობები (8.1%), პლასტმასები და მათი ნაწარმი (7.6%).


გრაფიკი 3: თურქეთსა და ევროკავშირს შორის უმსხვილესი სავაჭრო პროდუქცია (მლრდ ევრო), 2020.



წყარო: www.trademap.org

თურქეთის მსოფლიოში უმსხვილესი საექსპორტო საქონლის სტრუქტურა ევროკავშირის მსგავსია, თუმცა, ამ შემთხვევაში ხუთ ძირითად საექსპორტო პროდუქციას შორის არის ტრიკოტაჟის ტანსაცმელი, ასევე, ძირითად 20 პროდუქტს შორისაა ავეჯი, ტანსაცმელი და ტექსტილის სხვა ნაწარმი. რაც შეეხება მსოფლიოდან თურქეთში განხორციელებულ იმპორტს, მისი სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროკავშირიდან შემოსული იმპორტისგან და ძირითადად ნედლეულსა და შუალედურ პროდუქციას მოიცავს - უმსხვილესი საიმპორტო საქონელია მინერალური საწვავი და ნავთობი (წილი სამრეწველო პროდუქციის იმპორტში მსოფლიოდან - 19%), ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვები და ლითონები (28%), დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები (16%), ელექტრული მანქანები და მოწყობილობები (11%), მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები (10%), შავი ლითონები (9.7%), პლასტმასის ნაწარმი (7.6%).

გრაფიკი 4: თურქეთისა და მსოფლიოს შორის უმსხვილესი სავაჭრო პროდუქცია (მლრდ ევრო), 2020.



წყარო: www.trademap.org

საქართველო


წარმოება: საქართველოში მრეწველობის სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ 2020 წელს 3 მლრდ ევრო შეადგინა, 2016-2020 წლებში გამოშვების საშუალო ზრდამ კი - 11%. ამ პერიოდის განმავლობაში ყველაზე სწრაფად იზრდებოდა ელექტრული მოწყობილობების (27%), ავტოსატრანსპორტო საშუალებების (25%), ტანსაცმლის (24%), მანქანების და მოწყობილობების (20%), ქაღალდის ნაწარმის (17%) და ძირითადი ლითონების (17%) წარმოება.

მრეწველობის სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულების უდიდეს ნაწილს შეადგენს საკვები პროდუქტები (23%), სასმელები (21%), სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების ნაწარმი (13%), ძირითადი ლითონები (11%), ქიმიკატები და ქიმიური პროდუქტები (5%), რეზინის და პლასტმასის ნაწარმი (4%), ლითონის მზა ნაწარმი⁹ (4%), ტანსაცმელი (3%), და ფარმაცევტული პროდუქტები (3%). მსგავსია მრეწველობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების განაწილება წარმოებული ძირითადი პროდუქტების ჯგუფების მიხედვით - უდიდესი წილის მქონე სამ ძირითად პროდუქციას შეადგენს საკვები

⁹ გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა.

პროდუქტები (16%), სასმელების წარმოება (24%) და სხვა არალითონული მინერალური პროდუქტების წარმოება (14%).


გრაფიკი 5: საქართველოში 2020 წელს გამოშვებული პროდუქციის ღირებულებისა და დამატებული ღირებულების განაწილება წარმოებული პროდუქტების ჯგუფების მიხედვით.



წყარო: საქსტატი.

ვაჭრობა: მე-8 გრაფიკზე მოცემულია საქართველოს ვაჭრობის დინამიკა 2011-2020 წლებში ევროკავშირთან, მსოფლიოსთან და თურქეთთან. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირსა და მსოფლიოში იზრდებოდა 2016 წლიდან, თუმცა, 2020 წელს მცირედით შემცირდა. შესაბამისად, მსოფლიოდან და ევროკავშირიდან იმპორტის ღირებულებამ მაქსიმუმს 2016 და 2017 წელს მიაღწია, შემდგომ წლებში კი კლებადი ტენდენციით ხასიათდება. თურქეთიდან საქართველოში პროდუქციის იმპორტი მზარდია 2011 წლიდან, თუმცა, 2020 წელს შემცირებულია წინა წელთან შედარებით, რაც შეეხება საქართველოდან თურქეთში განხორციელებულ ექსპორტს, მცირედით იზრდებოდა 2012 წლიდან, თუმცა, სხვა ყველა სავაჭრო ნაკადის მსგავსად, 2020 წელს ისიც შემცირდა.


გრაფიკი 6: საქართველოს ვაჭრობა ევროკავშირთან, მსოფლიოსთან და თურქეთთან (მლნ. ევრო), 2011-2020.



წყარო: www.trademap.org

მე-9 და მე-10 გრაფიკებზე მოცემულია საქართველოს ევროკავშირთან, მსოფლიოსთან და თურქეთთან სავაჭრო საქონლის ძირითადი ჯგუფები. 2020 წელს ევროკავშირიდან და მსოფლიოდან იმპორტირებულ უმსხვილეს პროდუქციას შეადგენს მინერალური პროდუქტები, ძირითადი ლითონები, ქიმიკატები და ქიმიური პროდუქტები, ხოლო თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქციის სამი უმსხვილესი ჯგუფია ქიმიკატები და ქიმიური ნაწარმი, ძვირფასი ქვები და ლითონები და მინერალური პროდუქტები.


გრაფიკი 7: საქართველოს სამრეწველო პროდუქციის (HS 25-96) იმპორტი ევროკავშირიდან, მსოფლიოსა და თურქეთიდან (მლნ ევრო), 2020.



წყარო: www.trademap.org

ანალოგიურად გამოიყურება საქართველოს საექსპორტო პროდუქციის სტრუქტურა ევროკავშირსა და მსოფლიოში, ხოლო 2020 წელს საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული პროდუქციის ძირითადი ჯგუფებია ტექსტილი, ძირითადი ლითონები და მინერალური პროდუქტები.


გრაფიკი 8: საქართველოს სამრეწველო პროდუქციის (HS 25-96) ექსპორტი ევროკავშირში, მსოფლიოსა და თურქეთში (მლნ ევრო), 2020.



წყარო: www.trademap.org

საქართველოს ევროკავშირში საექსპორტო უმსხვილესი სამრეწველო პროდუქციაა მადნები, წიდა და ნაცარი, სასუქები, მერქანი და ხის ნაწარმი, ბუნებრივი და ძვირფასი ქვები და ლითონები, შავი ლითონები და არაორგანული საშუალებები, ხოლო ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტირებული ძირითადი პროდუქციის სტრუქტურა შემდეგნაირია: დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები, ფარმაცევტული პროდუქტები, მინერალური საწვავი, ნავთობი და მათი პროდუქტები, ელექტრული მანქანები და მოწყობილობები.


გრაფიკი 9: საქართველოსა და ევროკავშირის შორის უმსხვილესი სავაჭრო სამრეწველო პროდუქცია (მლნ ევრო), 2020.



წყარო: www.trademap.org

საქართველოდან მსოფლიოში ექსპორტირებული უმსხვილესი სამრეწველო პროდუქციაა მადნები, წიდა და ნაცარი, შავი ლითონები, ბუნებრივი და ძვირფასი ქვები და ლითონები, სასუქები, ტრიკოტაჟის ტანსაცმელი და ფარმაცევტული პროდუქტები, ხოლო მსოფლიოდან საქართველოში 2020 წელს განხორციელებული იმპორტის უდიდეს ღირებულებას შეადგენდა მინერალური საწვავი და ნავთობი, დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები, ელექტრული მანქანები, ფარმაცევტული პროდუქცია, პლასტმასი, რკინის ნაწარმი და შავი ლითონები.


გრაფიკი 10: საქართველოს და მსოფლიოს შორის უმსხვილესი სავაჭრო სამრეწველო პროდუქცია (მლნ ევრო), 2020.



წყარო: www.trademap.org

ევროკავშირისა და მსოფლიოსაგან განსხვავებულია საქართველოს მიერ თურქეთში ექსპორტირებული პროდუქციის სია; პირველ სამეულში შედის ტრიკოტაჟის ტანსაცმელი და ტანსაცმელი დამზადებული სხვა მასალისგან, გარდა ტრიკოტაჟისა (ასევე, შავი ლითონები). თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქციის უდიდეს ნაწილს კი შეადგენს დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები, რკინის და ფოლადის ნაწარმი, პლასტმასი და პლასტმასის ნაწარმი, ელექტრული მანქანები და მოწყობილობები, ტექსტილის სხვა ნაწარმი, მერქანი და ხის ნაწარმი.

გრაფიკი 11: საქართველოსა და თურქეთის შორის უმსხვილესი სავაჭრო სამრეწველო პროდუქცია (მლნ ევრო), 2020.




წყარო: www.trademapp.org

დიაგნოსტიკური კუმულაციის გზით საექსპორტო პროდუქტების წარმოების განვითარების მაგალითები საქართველოში

1. ღირებულებათა ჯაჭვი: პლასტმასი

- თურქეთი ევროპაში მე-2 და მსოფლიოში მე-7 უმსხვილესი პლასტმასის მწარმოებელია. პლასტმასის პროდუქტებისთვის გამოყენებული ნედლეული არის პოლიეთილენი (PE), პოლიპროპილენი (PP) და პოლივინილ ქლორიდი (PVC).
- პოლიეთილენი და პოლიპროპილენი გამოიყენება ამ კვლევის ფარგლებში შერჩეული სამი პროდუქტის წარმოებისთვის.
- თურქეთი არის პირველადი პოლიპროპილენის მე-2 უმსხვილესი იმპორტიორი, მსოფლიო იმპორტის 8,35%-იანი წილით (2019 წელი). პირველადი პოლიპროპილენის იმპორტს თურქეთი ახორციელებს ძირითადად საუდის არაბეთიდან, ეგვიპტეიდან, სამხრეთ კორეიდან, ინდოეთიდან და ისრაელიდან.
- თურქეთში არის 150-ზე მეტი კომპანია, რომლებიც აწარმოებენ ტექნიკურ ტექსტილსა და უქსოვად მასალებს (nonwovens - HS 5603), რომელთაგან 20-ზე მეტი მსხვილი კომპანია აწარმოებს უქსოვადი ქსოვილის რულონებს.
- ტექნიკური ტექსტილისა და უქსოვადი ქსოვილების წარმოებისთვის თურქეთში არსებობს მესაფერისი ინფრასტრუქტურა, რომელიც იზრდება და ვითარდება ტექნოლოგიების, ადამიანური რესურსებისა და ნოუ-ჰაუს თვალსაზრისით.
- თურქეთი არის უქსოვადი მასალების ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორი - 2020 წელს HS 5603-ის მსოფლიო იმპორტის 3,79%-ით (სურათი 1, მარჯვნივ).
- თურქეთის უქსოვადი მასალების ექსპორტის უდიდესი ნაწილი მიდის ევროპის ქვეყნებში, რომელთა შორის ყველაზე მსხვილი იმპორტიორები არიან: დიდი ბრიტანეთი, იტალია და გერმანია (სურათი 1, მარჯვნივ).

სურათი 1: HS 5603 უქსოვადი მასალის ექსპორტიორები (მარჯვნივ) და თურქეთიდან იმპორტიორები (მარჯვნივ), 2020 წ.



პროდუქტი: უქსოვადი ერთჯერადი ქირურგიული ხალათები

HS კოდი: 62101092 (HS 5603 სასაქონლო პოზიციის მასალისგან)

ხალათი წარმოადგენს ინდივიდუალურ დამცავ საშუალებას, რომელიც გამოიყენება ჯანდაცვის მიზნებისათვის, პაციენტების ან ქირურგების მიერ, ქირურგიული პროცედურების დროს. ხალათი გამოიყენება ინფექციის ან დაავადების გავრცელებისაგან თავის დასაცავად, როდესაც მის მატარებელს შეხება უწევს პოტენციურად დამაინფიცირებელ სიტუაციასთან თუ მყარ მასალასთან. ის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხალათის მატარებლის მიერ მიკროორგანიზმების გადატანის თავიდან აცილების მიზნით. მიკროორგანიზმებმა შეიძლება ზიანი მიაყენონ დაუცველ პაციენტებს, როგორცაა მაგალითად, დასუსტებული იმუნური სისტემის მქონე პაციენტი. ხალათები იწარმოება ტექნიკური ტექსტილისა და უქსოვადი ქსოვილისგან, რომელიც წარმოადგენს პლასტმასისგან დამზადებულ შუალედურ პროდუქტს.

წარმოშობის წესები: წარმოება ძაფისგან ან შეუღებავი ქსოვილისგან, იმ პირობით, რომ გამოყენებული ქსოვილის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 40%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა: ძირითადი ნედლეული, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ერთჯერადი საიზოლაციო ხალათების წარმოებისთვის, არის სინთეზური ბოჭკოების სხვადასხვა ფორმები, როგორებიცაა პოლიპროპილენი (PP) და პოლიეთილენი (PE). ერთჯერად საიზოლაციო ხალათებში ყველაზე გავრცელებული მასალა პოლიპროპილენია.

EU MFN ტარიფი: 12%

ვაჭრობის სტატისტიკა:

თურქეთის ექსპორტის CAGR¹⁰ (2016-2019): 10%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში 2020 წელს: 12%

თურქეთის ექსპორტი 2020 წელს: €290,962,758

საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €0 (€40,000 მსოფლიოში)


მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €13,265,998,000



- თურქეთი ტექსტილისა და უქსოვადი ქსოვილისგან შემდგარი ტანსაცმლის მე-2 უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში (2020)
- ექსპორტის უდიდესი ნაწილი მიდის ევროპის ქვეყნებში.

¹⁰ A Compound Annual Growth Rate (CAGR) - ნაერთი წლიური ზრდის ტემპი

გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობა და პროდუქტის კომპლექსურობა¹¹:
 ურთიერთდამოკიდებულება VS ქვეყნის კომპლექსურობა HS 621010 კოდისთვის
 $RCA > 1$



წყარო: www.oec.world


მუშახელი: მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების წარმოების ხაზების სრული ავტომატიზაცია თეორიულად შესაძლებელია, ჯერ კიდევ საჭიროა ხელით შრომა, რადგან ხელმისაწვდომი მანქანა-დანადგარების უმეტესობა ვერ ასრულებს წარმოების პროცესის ყველა კომპონენტს.

¹¹ კომპლექსურობის და ურთიერთდამოკიდებულებების დიაგრამა ადარებს რისკს და პროდუქტის პოტენციური საექსპორტო შესაძლებლობების სტრატეგიულ ღირებულებას. ურთიერთდამოკიდებულება გვიჩვენებს ალბათობას იმისა, რომ ქვეყანა გაზრდის პროდუქტის ექსპორტს. სირთულე ასოცირდება შემოსავლის მაღალ დონესთან, ეკონომიკური ზრდის პოტენციალთან, შემოსავლების უთანასწორობასთან და დაბალ ემისიებთან.

პროდუქტების ჯგუფი: შესაფუთი ტომრები

- თურქეთი შესაფუთი ტომრების მე-4 უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში (2020). (სურათი 2, მარცხნივ).
- 2020 წელს შესაფუთი ტომრების მთავარი ექსპორტიორები იყვნენ ჩინეთი (1,32 მილიარდი დოლარი), ინდოეთი (885 მილიონი დოლარი), ვიეტნამი (520 მილიონი აშშ დოლარი), თურქეთი (345 მილიონი აშშ დოლარი) და აშშ (139 მილიონი აშშ დოლარი).
- თურქეთის ექსპორტის 87% მიდის ევროპის ქვეყნებში, რომელთა შორის დომინირებს გერმანია მთლიანი იმპორტის 22%-ით, შემდეგ მოდის საფრანგეთი, ნიდერლანდები, ესპანეთი, იტალია და გაერთიანებული სამეფო. (სურათი 2, მარჯვნივ).

სურათი 2: HS 6305 შესაფუთი ტომრების ექსპორტიორები (მარცხნივ) და შესაფუთი ტომრების იმპორტიორები თურქეთიდან (მარჯვნივ) 2020 წ.



წყარო: www.oec.world

პროდუქტი: მოქნილი შუალედური კონტეინერები დაუფასოებელი პროდუქციისთვის

HS კოდი: 63053219

მოქნილი შუალედური კონტეინერები (FIBCs¹²) უძლებს 500 კგ-დან 2000 კგ-მდე წონას და ჩვეულებრივ გამოიყენება მშრალი და ფხვიერი პროდუქტების შესანახად, როგორებიცაა: მარცვლეული, თესლი, მარილები, ქიმიკატები, ქვიშა, თიხა, ცემენტი და სხვა. FIBCs ძირითადად მოთხოვნილია კვების, ქიმიური, ფარმაცევტული, სამშენებლო, სამთო ინდუსტრიებში.

¹² FIBCs - Flexible Intermediate Bulk Containers

წარმოშობის წესები: წარმოება ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის მასალისგან, გარდა პროდუქტისა, რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 40%-ს; ან წარმოება, რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 30%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა: მოქნილი შუალედური კონტეინერები დაუფასოებელი პროდუქციისთვის დამზადებულია მოქნილი ნაქსოვი მასალისგან, როგორც წესი, პოლიპროპილენისგან (PP), ან პოლიეთილენისგან (PE).



EU MFN ტარიფი: 7.2%

ვაჭრობის სტატისტიკა:

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): 3%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში 2020 წელს: 17%

თურქეთის ექსპორტი 2020 წელს: €147,429,282

საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €1,688,000 (€1,752,000 მსოფლიოში)

მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €2,041,384,000

- Grand View Research, Inc.-ის მიხედვით, გლობალური FIBCs-ის ბაზრის ზომა 2026 წლისთვის სავარაუდოდ მიაღწევს 6,4 მილიარდ აშშ დოლარს - CAGR 5,9%-ით საპროგნოზო პერიოდში.

მზარდი საკვები და ფარმაცევტული მრეწველობა მთელ მსოფლიოში და ნაყარი ტვირთების შეფუთვის საერთო წონის შემცირების მზარდი საჭიროება არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც ზრდის მოთხოვნას მოქნილ შუალედურ კონტეინერებზე.

მოქნილ შუალედურ კონტეინერებზე მოთხოვნა განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიაში, საფრანგეთსა და სხვებში, ძირითადად განპირობებულია ფარმაცევტული ინდუსტრიის ზრდით, მოსახლეობის დაბერების გამო. განვითარებად ქვეყნებში ამ ტიპის კონტეინერებზე მოთხოვნის ზრდა ძირითადად გამოწვეულია საკვების გადამამუშავებელი და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ზრდის გამო.

პროდუქტი: შესაფუთი ჩანთები და ტომრები

HS კოდი: 63053390



პოლიპროპილენის (PP) ნაქსოვი ჩანთები და ტომრები ძირითადად გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახად და ტრანსპორტირებისთვის, როგორებიცაა: ზღვის პროდუქტები, საკვები, ხილი, ბოსტნეული და სხვა. PP-ის ნაქსოვი ჩანთები სულ უფრო ხშირად გამოიყენება საკვების შესაფუთად. მაგალითად, საკვებისთვის გათვლილი PP-ის ნაქსოვი ჩანთები გამოიყენება ბრინჯის, ფქვილის, სიმინდის შენახვისა და ტრანსპორტირებისთვის.

წარმოშობის წესები: წარმოება ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის მასალისგან, გარდა პროდუქტისა, რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 40%-ს; ან წარმოება, რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქციის წარმოების ფასის 30%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა: სუფთა პოლიპროპილენი (PP) და პოლიეთილენი (PE) გამოიყენება ნაქსოვი ქსოვილის დასამზადებლად როგორც FIBC-სთვის, ისე საქონლის შესაფუთი ტომრებისა და ჩანთებისთვის.



EU MFN ტარიფი: 7.2%

ვაჭრობის სტატისტიკა (HS 630533):

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): 7%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში 2020 წელს: 20%


თურქეთის ექსპორტი 2020 წელს: €147,429,282

საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €45,000 (€493,000 მსოფლიოში)

მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €1,697,149,000

- თურქეთი პოლიეთილენის ან პოლიპროპილენის შესაფუთი ტომრებისა და ჩანთების მე-3 უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში (2020).
- თურქეთის შესაფუთი ტომრებისა და ჩანთების ექსპორტის უდიდესი წილი მიდის ევროპის ქვეყნებში, რომელთა შორის დომინირებს გერმანია, შემდეგ მოდის საფრანგეთი და ნიდერლანდები.

გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობა და პროდუქტის კომპლექსურობა:
 ურთიერთდამოკიდებულება VS ქვეყნის კომპლექსურობა HS 6305 კოდისთვის
 $RCA > 1$



წყარო: www.oec.world

წარმოების პროცესი: პოლიპროპილენის ნაქსოვი შესაფუთი ტომრების წარმოების პროცესი შედგება 10 ძირითადი ეტაპისგან:

- ექსტრუზია
- ქსოვა
- დასველება
- დაჭრა
- დაპრინტვა
- დაქსელვა
- კერვა
- შემოწმება
- შეფუთვა
- დასაწყობება



მუშახელი: ტომრების წარმოება არის შრომატევადი პროცესი, რომელიც მოითხოვს მაღალი დონის უნარ-ჩვევებსა და გამოცდილებას. ტიპიურ საწარმოო ხაზში 10-20 მუშა ასრულებს ქრას, კერვას, ხარისხის კონტროლს და შეფუთვას. დიდ ქარხნებს შეუძლიათ ასობით და ათასობით მუშახელის დასაქმება.

2. ღირებულებათა ჯაჭვი: ალუმინი

- თურქეთის ალუმინის სექტორი, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში 10%-ით გაიზარდა, ექსპორტს ახორციელებს 180-ზე მეტ ქვეყანაში.
- თურქეთის ალუმინის ბაზარი წარმოდგენილია დაახლოებით 1500 აქტიური კომპანიით, რომლებიც ფარავენ მთლიან ღირებულებათა ჯაჭვს და ასაქმებენ 30000-ზე მეტ თანამშრომელს.
- თურქეთი არის დაუმუშავებელი ალუმინის შენადნობების (HS 760120) ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი და ალუმინის სხვადასხვა პროდუქციის (პროფილები, ძელები, ფირფიტები, ფურცლები, სამშენებლო მასალები და ა.შ.) ერთ-ერთი წამყვანი ექსპორტიორი მსოფლიოსა და ევროპაში.
- ევროპული ალუმინის ასოციაციის (European Aluminium Association) პროგნოზის მიხედვით, ალუმინის გამოყენების მზარდი დინამიკა გაგრძელდება, რაც გამოიწვევს ევროპაში მოთხოვნის 40%-იან ზრდას 2050 წლისთვის.
- ამ ზრდის ძირითადი მამოძრავებელია საავტომობილო, სამშენებლო, და შესაფუთი მრეწველობა.
- მოსალოდნელია, რომ მოთხოვნის პროგნოზირებული ზრდა წარმოიქმნება ალუმინის მიერ სხვა მასალების ჩანაცვლებით, როგორებიცაა: ფოლადი, სპილენძი, პლასტმასი, PVC, და ხე.


ნახევრად მზა პროდუქტი: ალუმინის შენადნობებისაგან დამზადებული პროფილები

HS კოდი: 76042990

ალუმინის პროფილები, როგორც ნახევრად მზა პროდუქტი გამოიყენება საბოლოო მზა პროდუქტების წარმოებისთვის, როგორებიცაა ალუმინის კარები, ფანჯრები, მათი ჩარჩოები და ზღურბლები კარებისათვის, გათბობის რადიატორები და სხვა.

წარმოშობის წესები: წარმოება ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის მასალისგან, გარდა თავად პროდუქტისა, და რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 50%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა: ალუმინის ძელები, შუალედური სხმულები (intermediate castings)



EU MFN ტარიფი: 7.5%

სავაჭრო სტატისტიკა (HS 760429):

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): 13%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში 2020 წელს: 8%


თურქეთის ექსპორტი 2020 წელს (HS 76042990): €263,034,572

საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €1000 (€257 000 მსოფლიოში)

მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €88,466,996,000


- თურქეთი, როგორც ალუმინის ძელების, წნელებისა და სხვა პროფილების (HS 760429) ექსპორტიორი, მე-3 ადგილს იკავებს მსოფლიოში (სურათი 3, მარცხნივ).
- თურქეთის ალუმინის ძელების, წნელებისა და სხვა პროფილების მთლიანი ექსპორტის 62% მიდის ევროპის ქვეყნებში, რომელთა შორის დომინირებს გერმანიაა მთლიანი იმპორტის 20.6%-ით, შემდეგ მოდის ჩეხეთი, ნიდერლანდები და ავსტრია (სურათი 3, მარჯვნივ).

სურათი 3: HS 760429 ალუმინის ძელების, წნელების და სხვა პროფილების მსოფლიოს საუკეთესო ექსპორტიორები (მარცხნივ) და იმპორტიორები თურქეთიდან (მარჯვნივ) 2020 წ.



წყარო: www.oec.world

გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობა და პროდუქტის კომპლექსურობა:
 ურთიერთდამოკიდებულება VS ქვეყნის კომპლექსურობა HS 760429 კოდისთვის
 $RCA > 1$



წყარო: www.oec.world

წარმოების პროცესი:

ალუმინის ექსტრუზია - ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ალუმინის შენადნობის მასალა გადადის სპეციფიკური განივკვეთის პროფილის მქონე ჭურჭელში. ექსტრუზიას აქვს უამრავი გამოყენება სხვადასხვა სახის ინდუსტრიაში, მათ შორის არქიტექტურულ, საავტომობილო, ელექტრონიკის, აერონავტიკის, ენერგეტიკის და სხვა ინდუსტრიებში.

- ნაბიჯი 1: ექსტრუზიის საყრდენი მზადდება და გადატანილია ექსტრუზიის საწნებში
- ნაბიჯი 2: ალუმინის სხმული წინასწარ თბება ექსტრუზიამდე
- ნაბიჯი 3: ალუმინის სხმული გადადის ექსტრუზიის საწნებში
- ნაბიჯი 4: ჰიდრავლიკური ბუნიკი უბიძგებს და ათავსებს აღნიშნულ სხმულს კონტეინერში
- ნაბიჯი 5: ექსტრუდირებული მასალა გამოდის ტექნიკური შტამპის მეშვეობით
- ნაბიჯი 6: ექსტრუზიები იმართება გადასატანი როლგანგის გასწვრივ და იწრთობა
- ნაბიჯი 7: ექსტრუზიები იშლება გადასატანი როლგანგის სიგრძემდე
- ნაბიჯი 8: ექსტრუდირებული მასალა გადაიტანება დამჭიმ მექანიზმზე და იჭიმება გასწორების ნაწილებში, ცივდება ოთახის ტემპერატურამდე
- ნაბიჯი 9: ექსტრუდირებული მასალა გადააქვთ საბოლოო ხერხზე და ჭრიან სიგრძეზე

თერმული დამუშავება, დასრულება და დამზადება - ექსტრუზიის დასრულების შემდეგ, პროფილები შეიძლება თერმულად დამუშავდეს მათი თვისებების გასაუმჯობესებლად. თერმული დამუშავების შემდეგ, მათ ზედაპირზე შესაძლოა შესრულდეს სხვადასხვა სახის დამუშავება იერსახის და კოროზიისგან დაცვის გასაუმჯობესებლად.

პროდუქტი: კარები, ფანჯრები და მათი ჩარჩოები და ზღურბლები კარებისთვის

HS კოდი: 761010

ალუმინის კარის ჩარჩო მზადდება ალუმინის პროფილისგან, ხოლო კარის პანელი ალუმინის ფურცლისგან. ალუმინს აქვს კოროზიის, ამინდის, სითბოს, ტუტეს და დარტყმის მიმართ მაღალი მედეგობა. შიდა სტრუქტურა არის ქვაბამბა და პოლიურეთანი. ზედაპირის დამუშავება შეიძლება შესრულდეს ანოდირებული, ელექტროფორეზის, ხის პროფილის და ფხვნილის საფარით.



წარმოშობის წესები: წარმოება ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის მასალისგან, გარდა პროდუქტის სასაქონლო პოზიციისა, რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 50%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა: ალუმინის პროფილი, ალუმინის ფურცელი, ქვაბამბა, პოლიურეთანი

EU MFN ტარიფი: 6%

სავაჭრო სტატისტიკა:

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): 15%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში 2020 წელს: 4%

თურქეთის ექსპორტი 2020 წელს: €46,877,709

საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €1000 (€9000 მსოფლიოში)

მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €4,076,882,000

- თურქეთის ალუმინის კარების, ფანჯრების, მათი ჩარჩოებისა და კარების ზღურბლების მთლიანი ექსპორტის დიდი წილი მიდის ევროპის ქვეყნებში, რომელთა შორის დომინირებს გერმანია.

პროდუქტი: ალუმინის გათბობის რადიატორები

HS კოდი: 7616991091

წარმოშობის წესები: წარმოება ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის მასალებისგან, გარდა პროდუქტისა, რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 50%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა: ალუმინის პროფილები

EU MFN ტარიფი: 6%

ვაჭრობის სტატისტიკა (HS 761699):

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): 0.43%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში 2020 წელს: 3%

თურქეთის ექსპორტი 2020 წელს (HS 7616991091): €60,455,268

საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €6 (€119,000 მსოფლიოში)

მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €14,367,895,000

ნახევრად მზა პროდუქტი: ალუმინის შენადნობებისაგან დამზადებული ფირფიტები, ფურცლები და ზოლები

0,2 მმ სისქის, კვადრატული ან მართკუთხა ფორმის

HS კოდი: 760612

წარმოშობის წესები: წარმოება ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის მასალებისგან, გარდა პროდუქტისა, რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 50%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა: ალუმინის ზოდები და ფილები, შუალედური სხმულები, გამდნარი ალუმინი და სპეციალური ყალიბები.



EU MFN ტარიფი: 7.5%

ვაჭრობის სტატისტიკა:

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): -6 %

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში 2020 წელს: 1%

თურქეთის ექსპორტი 2020 წელს: €95,859,000


თურქეთის ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €0 (€7000 მსოფლიოში)

მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €20,226,898,000

- თურქეთი არის დაუმუშავებელი ალუმინის შენადნობების (HS 760120) ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი, რომელთა შორისაა ალუმინის ზოდები და ძელაკები (2020).
- თურქეთის ალუმინის ფირფიტების, ფურცლებისა და ზოლების ექსპორტის უდიდესი წილი ევროპის ქვეყნებში მიდის, რომელთა შორის დომინირებს გერმანია, შემდეგ მოდის იტალია.



გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობა და პროდუქტის კომპლექსურობა:
 ურთიერთდამოკიდებულება VS ქვეყნის კომპლექსურობა HS 760612 კოდისთვის
 $RCA \leq 1$



წყარო: www.oec.world

წარმოების პროცესი:

- ცხელი ნაგლინი
- ცივი ნაგლინი
- დასრულება - ეს რულონები გადის სხვადასხვა დასრულების პროცესს, სადაც სხვადასხვა ტიპის ალუმინი იწარმოება. აქ კეთდება გამოწვა, ზედაპირული დამუშავება და მრავალი სხვა.

კაპიტალის მოთხოვნები: ცხელი გლინვის და ცივი გლინვის დანადგარები წარმოადგენს ორ ძირითად მანქანას ალუმინის ფირფიტისა და ფურცლის წარმოებისთვის. დანადგარების ზომა დიდია (იხილეთ ფოტოები ქვემოთ) და საჭიროებს დიდ ადგილს ქარხანაში.




პროდუქტი: ალუმინის კომპოზიტური პანელები

HS კოდი: 76169990

წარმოშობის წესები: წარმოება ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის მასალებისგან, გარდა პროდუქტისა, რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 50%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა: ალუმინის ფურცლები, შიდა თერმოპლასტიკური ბაზის ბირთვი



EU MFN ტარიფი: 6%

ვაჭრობის სტატისტიკა (HS 761699):

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): 0.43%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში 2020 წელს: 3%

თურქეთის ექსპორტი 2020 წელს (HS 76169990): €96,045,971

საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €6,000 (€119,000 მსოფლიოში)

მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €14,367,895,000

- ალუმინის კომპოზიტური პანელის პოპულარობის ზრდა არ შეწყვეტილა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. მისი გამოყენება ფართოდ ენერგოეფექტურობის, დაბალი ფასის და სამშენებლო შესაძლებლობების გათვალისწინებით.
- ამ ტიპის მასალა სპეციალურად შექმნილია ვენტილირებადი ფასადების ასაგებად, მათი რემონტისთვის ან რეაბილიტაციისთვის. ის გათვალისწინებულია გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეიძლება მოერგოს არქიტექტურის ყველა მიმართულებას.
- ალუმინის კომბინირება სხვა მასალებთან მარტივია, ახალი მასალების წარმოებისთვის, როგორცაა აგური ან კომპოზიციური პანელი.

წარმოების პროცესი: კომპოზიტური პანელი იწარმოება უწყვეტი ლამინირების პროცესით, რომლის დროსაც მასალის ფურცელი, რომელიც შეადგენს ბირთვს, იწნეხება და იკუმშება ალუმინის ორ ფურცელს შორის, რომლებიც ერთდროულად იხსნება. საბოლოოდ, მასალის სიბრტყე იკუმშება, სწორდება და იფარება დამცავი ფირით.

პროდუქტი: ველოსიპედები ბურთულიანი საკისრებით

HS კოდი: 87120030

წარმოშობის წესები: წარმოება ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის მასალებისგან, გარდა 8714 სასაქონლო პოზიციისა; წარმოება, რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 30%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა:

- ალმასის ფორმის ჩარჩო, რომელიც მზადდება ალუმინის, ფოლადის, ნახშირბადის ბოჭკოვანას და ტიტანისგან (ეს უკანასკნელი იშვიათად გამოიყენება)



- პლასტმასი
- ქაფი (სახელურები და დასაჯდომის შიგთავსი)
- ტყავი (სახელურები და დასაჯდომი)
- რეზინი (ძირითადად საბურავებისა და სამუხრუჭე ხუნდებისთვის)
- სითხეები (როგორიცაა სამუხრუჭე სითხე, საკისარის ზეთი და სხვადასხვა ზეთი/საპოხი მასალები)
- მაგნიუმი (ზოგჯერ პედლებში და საკისარის სამაგრებში, ძალიან იშვიათად ჩარჩოებში)
- ხე (ამჟამად სიახლეა ჩარჩოებისთვის, მაგრამ გავრცელებული იყო მრავალი ათწლეულის წინ).

EU MFN ტარიფი: 14%

სავაჭრო სტატისტიკა (HS 871200):

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): 2%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში 2020 წელს: 1%

თურქეთის ექსპორტი 2020 წელს (HS 87120030): €39,465,461


საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €0 (€15,000 მსოფლიოში)

მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €8,673,263,000

- ველოსიპედების გლობალური ბაზარი, რომელიც შეფასებულია 29,2 მილიარდ აშშ დოლარად 2020 წელს, სავარაუდოდ, 2027 წლისთვის მიაღწევს 34,6 მილიარდ აშშ დოლარს, CAGR 2,4%-ით 2020-2027 წლების პერიოდში.
- თურქეთის ველოსიპედების ინდუსტრია სწრაფად იზრდება. 2018 წელს თურქეთმა დაახლოებით 280 000 ველოსიპედის ექსპორტი განახორციელა, რაც 58%-ით მეტია 2017 წელთან შედარებით.


- ქვეყნის მიერ წარმოებული ველოსიპედების ექსპორტის უდიდესი ნაწილი (96%) მიდის ევროპის ქვეყნებში (სურათი 4, მარჯვნივ), რომელთა შორის დომინირებს გერმანია 18.6%-ით, შემდეგ მოსდევს ნიდერლანდები (14.4%), საფრანგეთი (14.1%), ფინეთი (10.5%), გაერთიანებული სამეფო (9.08%) და ესპანეთი (8.06%). ეს არის საშუალო დონის სტანდარტების ველოსიპედები, რომლის საშუალო ღირებულება 121 ევროა.
- Accell Bisiklet A.S. არის თურქეთის ველოსიპედის უდიდესი ექსპორტიორი (2018 წელს ქვეყნის ველოსიპედის ექსპორტის 67%). კომპანია აწარმოებს Carraro, Ghost, Lapierre და სხვა ლიცენზირებულ ბრენდირებულ ველოსიპედებს თურქული ბაზრისთვის და ველოსიპედების ფართო ასორტიმენტს ევროპული ბაზრისთვის.
- კიდევ ერთი დიდი მწარმოებელია Korel Elektronik Sanayi ve Ticaret (აწარმოებს ველოსიპედებს და ველოსიპედის ჩარჩოებს „Corelli“ ბრენდის ქვეშ), რომელიც ასევე აწარმოებს ალუმინის ნაწილებსა და პროდუქტებს საოჯახო ტექნიკისა და საავტომობილო სექტორისთვის. კომპანია ასევე არის ალუმინის ველოსიპედის და ელექტრონული ველოსიპედის ჩარჩოების ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელი (წლიურად მილიონი ერთეული). მისი ჩარჩოების უმეტესი ნაწილი იყიდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მცხოვრებ მომხმარებლებზე.
- ველოსიპედის ინდუსტრია წარმოდგენილია თურქეთის ველოსიპედის ინდუსტრიის ასოციაციის მიერ-BISED, რომელიც დაარსდა 2008 წელს. BISED მუშაობს სექტორის განვითარებაზე და ეხმარება თავის წევრებსა და სექტორის წარმომადგენლებს ტექნიკურ, ეკონომიკურ და აღმასრულებელ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია ველოსიპედებისა და ელექტრო ველოსიპედების წარმოებასთან, ექსპორტთან და შესაბამის ქვე-ინდუსტრიებთან.

სურათი 4: HS 871200 ველოსიპედები, სხვა ველოსიპედები, არამოტორიზებული, ექსპორტიორები (მარცხნივ) და იმპორტიორები თურქეთიდან (მარჯვნივ) 2020 წ.



წყარო: www.oec.world

გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობა და პროდუქტის კომპლექსურობა:
 ურთიერთდამოკიდებულება VS ქვეყნის კომპლექსურობა HS 871200 კოდისთვის
 $RCA \leq 1$



წყარო: www.oec.world

წარმოების პროცესი:

- საბურავების კამერის მორგება
- რჩილვა, შედუღება და დაწებება
- გასწორება და გაწმენდა
- დასრულება - ჩარჩოები შეღებილია

მუშახელი: ველოსიპედის წარმოება ძირითადად ხელით აწყობის შრომატევად პროცესს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ველოსიპედის წარმოების ადრეულ პერიოდთან შედარებით, მასალები, წარმოების პროცესები და წარმოების ადგილები შეიცვალა, აწყობის პროცესი მაინც ძალიან ჰგავს ველოსიპედის წარმოების პირვანდელ პროცესს და მოითხოვს სპეციალურად მომზადებულ, კვალიფიციურ პერსონალს, სამუშაოების ხელით შესრულებას, რაც მძიმე დატვირთვას გულისხმობს.

პროდუქტი: ალუმინისგან დამზადებული საგზაო ბორბლები

HS კოდი: 8708705050

წარმოშობის წესები: წარმოება, რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 40%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა:

Hypoeutectic Al-Si ჩამოსხმის შენადნობები, სადაც არის:

- სილიციუმის შემცველობა 7-დან 12%-მდე
- მაგნიუმის ცვლადი დონეები
- რკინის დაბალი დონე

EU MFN ტარიფი: 3.8%

ვაჭრობის სტატისტიკა (HS 870870):

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): 9%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში 2020 წელს: 11%


თურქეთის ექსპორტი 2020 წელს (HS 87087050): €349,524,576

საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €12,000 (€192,000 მსოფლიოში)

მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €14,464,214,000


- თურქეთი არის ბორბლების მე-5 უმსხვილესი ექსპორტიორი მსოფლიოში, ავტოსატრანსპორტო საშუალების ნაწილების/აქსესუარების ჩათვლით (HS 870870).
- თურქეთის ექსპორტის წილმა შეადგინა მსოფლიო მთლიანი ექსპორტის 4,93% 2020 წელს, საიდანაც 91% მიდის ევროპის ქვეყნებში, რომელთა შორის დომინირებს გერმანია 32.2%-ით, მას მოსდევს ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და იტალია (სურათი 5, მარჯვნივ).
- თურქეთის ინდუსტრია ემსახურება მანქანების ისეთ მსხვილ გლობალურ მწარმოებლებსა და პირველი დონის მიმწოდებლებს, როგორებიცაა: BMW, Continental, Daimler, Ford, General Motors, IVECO, Jaguar Land Rover, Michelin, PSA, Volkswagen Group და Volvo.

სურათი 5: HS 870870 ბორბლების, მათ შორის, საავტომობილო მანქანების ნაწილები/აქსესუარები, ექსპორტიორები (მარცხნივ) და იმპორტიორები თურქეთიდან (მარჯვნივ) 2020 წ.



წყარო: www.oec.world

გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობა და პროდუქტის კომპლექსურობა:
 ურთიერთდამოკიდებულება VS ქვეყნის კომპლექსურობა HS 870870 კოდისთვის
 $RCA > 1$




წყარო: www.oec.world

წარმოების პროცესი:

- უხეში დამუშავება
- გაყოფა

- ნაკადის შემობრუნება
- თერმული დამუშავება
- საბოლოო დამუშავება - დიზაინის მოთხოვნებიდან გამომდინარე

ბორბლების წარმოებისთვის შესაძლებელია ალუმინის ჩამოსხმის სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენება. შერჩეული ჩამოსხმის პროცესიდან გამომდინარე, იცვლება ასევე ალუმინის ბორბლების ხარისხი. ჩამოსხმის სპეციფიკური მეთოდების შერჩევა დიდწილად განსაზღვრავს ჩამოსხმული მიკროსტრუქტურის ხარისხს (მაგ. პორიანობა) და გავლენას ახდენს შენადნობებისა და თერმული დამუშავების შესაფერისი ტიპების არჩევანზე. ამრიგად, ის განსაზღვრავს არა მხოლოდ ბორბლის სიმტკიცეს და გამძლეობას, არამედ გავლენას ახდენს ხარისხის დონეზე, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნას ზედაპირის მომზადების სხვადასხვა ეტაპზე და, შესაბამისად, გავლენა მოახდინოს საბოლოო იერსახეზე.



მუშახელი: ბორბლების წარმოება მოითხოვს კვალიფიციურ და გამოცდილ მუშახელს. მუშახელზე მოთხოვნები დამოკიდებულია წარმოების პროცესის ავტომატიზაციის მასშტაბზე.

3. პროდუქტი: ზამბარიანი მატრასები

HS კოდი: 94042910

წარმოშობის წესები: წარმოება ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის მასალებისგან, გარდა პროდუქტისა, რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 40%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა:

- ქსოვილი
- მატრასის ჩარჩო
- მუშამბა
- ქეჩა
- ქაფრეზინი
- ბამბა

EU MFN ტარიფი: 7.5%

ვაჭრობის სტატისტიკა (HS 940429):

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): 25%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში 2020 წელს: 6%


თურქეთის ექსპორტი 2020 წელს (HS 94042910): €43,073,049

საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €607,000 (€621,000 მსოფლიოში)

მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €2,565,440,000


- 2020 წელს თურქეთი მატრასების (HS 940429) მე-4 უმსხვილესი ექსპორტიორი იყო.
- თურქეთს მატრასების წარმოებისთვის სტრატეგიული მდებარეობა აქვს, როგორც გეოგრაფიულად, ასევე ნედლეულის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რაც მწარმოებლებს თავიანთი ბიზნესის გაფართოებაში ეხმარება.
- მატრასების თურქული მწარმოებლების უმეტესობა, მზარდი მოთხოვნის გამო, პროდუქციის ექსპორტს ევროპაში ახორციელებს (მთლიანი ექსპორტის 64%). თურქული მატრასების ყველაზე მსხვილი იმპორტიორები არიან გაერთიანებული სამეფო (9.41%), ნიდერლანდები, ირლანდია, გერმანია და საბერძნეთი (სურათი 6, მარჯვნივ).
- ზამბარიანი მატრასები დომინირებს ბაზარზე (თურქეთის მატრასების ბაზრის 90% 2020 წლისთვის) და მოსალოდნელია, რომ გააგრძელებს დომინირებას მომდევნო წლებში, CAGR 6%-ით 2021-2026 წლების პერიოდში.

სურათი 6: HS 940429 მატრასების მსოფლიოს საუკეთესო ექსპორტიორები (მარცხნივ) და იმპორტიორები თურქეთიდან (მარჯვნივ) 2020 წ.





წყარო: www.oec.world

გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობა და პროდუქტის კომპლექსურობა:
 ურთიერთდამოკიდებულება VS ქვეყნის კომპლექსურობა HS 940429 კოდისთვის
 $RCA > 1$



წყარო: www.oec.world

წარმოების პროცესი: ზამბარიანი მატრასების წარმოების ხაზი შედგება რვა სამუშაო ეტაპისგან, კერძოდ: ზამბარის ქსოვის, დაწებების, ქსოვილის დალიანდაგების, შემოკერვის, გადაკვრის, შეკერვის, ხარისხის კონტროლის და შეფუთვის.



მუშახელი: მატრასების ინდუსტრია შრომატევადი საქმეა და მოითხოვს სპეციალიზებულ და გამოცდილ პერსონალს.

4. პროდუქტების ჯგუფი: საყოფაცხოვრებო ელექტრონული მოწყობილობები

თურქეთი არის მსოფლიოში მე-2 უმსხვილესი საყოფაცხოვრებო ელექტრონული მოწყობილობების (white goods) მწარმოებელი ჩინეთის შემდეგ, და წამყვანი ქვეყანა ევროპაში ამ ინდუსტრიაში. მთლიანობაში, საყოფაცხოვრებო ელექტრონული საქონლის წარმოებამ ქვეყანაში 2021 წლის პირველ ნახევარში 20,6 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის 25%-იან ზრდას ნიშნავს. ამ სეგმენტში თურქი მწარმოებლების პროდუქციის გაყიდვები 41%-ით გაიზარდა, და დაახლოებით 17,43 მილიონი ერთეული შეადგინდა 2021 წლის პირველ ნახევარში, რაც გამოწვეულია ექსპორტის 47%-იანი ზრდით. თურქული საყოფაცხოვრებო ელექტრონული მოწყობილობების 70% გადის ექსპორტზე 100-ზე მეტ ქვეყანაში, რომელთა შორისაა როგორც ევროპის, ასევე მეზობელი და აფრიკის ქვეყნები.



პროდუქტი: საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭლის სარეცხი მანქანები

HS კოდი: 842211

წარმოშობის წესები: წარმოება ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის მასალისაგან, გარდა პროდუქტისა, რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 40%-ს; ან წარმოება, რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 30%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა:

- უჟანგავი ფოლადის ფურცლები
- ფოლადის დახვეული ფურცლები
- მავთული
- ფხვიერი პოლივინილ ქლორიდი (PVC) ან ნეილონი
- კალციუმით გამაგრებული პოლიპროპილენის პლასტმასა
- ძრავები, ტუმბოები, ელექტრო კონტროლის მოწყობილობები და კომპონენტები

EU MFN მარტივი საშუალო ტარიფი: 2.7%

ვაჭრობის სტატისტიკა:

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): 14%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში: 14%

თურქეთის ექსპორტი 2020 წელს: €320,446,000


საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €0 (€25 მსოფლიოში)

მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €4,283,641,000

- თურქეთი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭლის სარეცხი მანქანების მე-4 უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში (2020).
- თურქეთის ექსპორტის 78% მიდის ევროპის ქვეყნებში, რომელთა შორის დომინირებს დიდი ბრიტანეთი, შემდეგ მოდის საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, გერმანია და პოლონეთი.

გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობა და პროდუქტის კომპლექსურობა:


RCA > 1



წყარო: www.oec.world

წარმოების პროცესი:

1. ჭურჭლის სარეცხი მანქანის ფორმა მზადდება ცილინდრის საინექციო ჩამოსხმის გზით.
2. ცხელი ცილინდრი გადააქვთ გაგრელების ზონაში და ცივდება ტემპერატურამდე, რომელზე მუშაობაც ადვილად შესაძლებელი იქნება ამწყობ მუშაკთათვის. სხვა პლასტმასის ნაწილები ასევე მზადდება ინექციური ჩამოსხმის გზით და ეს პატარა ნაწილები ინახება ურნებში (ერთ ურნაში მხოლოდ ერთი ტიპის ნაწილი ინახება), რომლებიც საჭიროებისამებრ შეიძლება გადაიტანონ აწყობის ზონაში.
3. ქარხნის სხვა ნაწილში მზადდება ჭურჭლის სარეცხი მანქანის ფოლადის კომპონენტები.



ცალკე მდგომი მოდელების გარე კორპუსები და ყველა მოდელის კარები იჭრება და თავსდება უქანგავი ფოლადის ხვეულ ფორმაში, რომლებიც წინასწარ არის დამუშავებული ერთ მხარეს.

4. ჭურჭლის სარეცხი მანქანების აწყობა ხდება სამუშაო ადგილზე აწყობის ხაზის გასწვრივ. ძრავები მიეწოდება ხაზის მუშაკებს დასრულებული და აწყობილი სახით. ცილინდრი მონტაჟდება და მაგრდება ჩარჩოში ძრავის ან ძრავების ზევით.
5. ცილინდრის ადგილზე მონტაჟის დასრულების შემდეგ, იწყება შიდა კომპონენტების დაყენება, პირველ რიგში მონტაჟდება ფილტრაციის სისტემა.
6. კარის აწყობა სრულდება სარეცხი საშუალებების დისპენსერის და ღილაკების დაყენებით.
7. შეფუთვის ზონაში, სტიროქაფის ბამპერის სექციები თავსდება დანადგარის კიდეების გასწვრივ და იფუთება მუყაოს კოლოფით.

მუშახელი: თანამედროვე წარმოების პროცესი ტექნოლოგიურად უაღრესად ინტენსიური და ავტომატიზირებულია და მოითხოვს მაღალკვალიფიციურ მუშახელს.

პროდუქტი: ავტომატური სარეცხი მანქანები, მშრალი სარეცხის ტევადობა <6 კგ

HS კოდი: 845011

წარმოშობის წესები: წარმოება ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის მასალისაგან, გარდა პროდუქტისა, რომელშიც გამოყენებული ყველა მასალის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 40%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა:

- ფურცლოვანი ფოლადი
- პლასტმასის ნაწილები
- თუჯი
- მომინანქრებული რკინა, ფაიფურის საფარით
- ტუმბოები
- ძრავა

EU MFN ტარიფი: 2.9%

ვაჭრობის სტატისტიკა

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): -2%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში 2020 წელს: 14%

თურქეთის ექსპორტი 2020 წელს: €476,862,000


საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €0 (€233,000 მსოფლიოში)

მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €7,193,970,000

- თურქეთი ავტომატური სარეცხი მანქანების მე-3 უდიდესი ექსპორტიორია, მშრალი სარეცხის ტევადობით <6 კგ, ჩინეთის (29.8%) და პოლონეთის (15.7%) შემდეგ (სურათი 7, მარცხნივ).


- თურქეთის ექსპორტის უმეტესი ნაწილი მიდის ევროპის ქვეყნებში, რომელთა შორის დომინირებს გაერთიანებული სამეფო, 17.9%-ით, შემდეგ მოდის გერმანია (12%), საფრანგეთი (9.85%), ესპანეთი (8.46%) და იტალია (7.89%).

სურათი 7: HS 845011 ავტომატური სარეცხი მანქანები, მშრალი სარეცხის ტევადობა <6 კგ, მსოფლიოს საუკეთესო ექსპორტიორები (მარცხნივ) და იმპორტიორები თურქეთიდან (მარჯვნივ) 2020 წ.



წყარო: www.oec.world

გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობა და პროდუქტის კომპლექსურობა:
 ურთიერთდამოკიდებულება VS ქვეყნის კომპლექსურობა HS 845011 კოდისთვის
 $RCA > 1$




წყარო: www.oec.world

წარმოების პროცესი იყოფა შემდეგ ეტაპებად:

- წარმოება (ნაწილების დამზადება)
- აწყობის ქვე-ეტაპი (ნაწილების შეკრება კომპონენტების დასამზადებლად); და
- აწყობა (კომპონენტების შეკრება საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად).

მუშახელი: თანამედროვე წარმოების პროცესი არის მაღალტექნოლოგიური, ინტენსიური, ავტომატიზირებული და მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელს.



5. ღირებულებათა ჯაჭვი: ტექსტილი/ბამბა

- ტექსტილი თურქეთის ეკონომიკაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და პროდუქტიული სექტორია, წლების განმავლობაში მშპ-ს საშუალოდ 7%-ს შეადგენს და წარმოდგენილია დაახლოებით 20000 მწარმოებლით.
- თურქეთი არის ტექსტილის/ტანსაცმლის მე-5 უმსხვილესი ექსპორტიორი მსოფლიოში და მე-3 უდიდესი ექსპორტიორი ევროპაში. ტექსტილი თურქეთის მთლიანი ექსპორტის 3,9%-ს შეადგენს.
- ბამბის მრეწველობა არის ქვეყნის ქსოვილისა და ტექსტილის ინდუსტრიის ერთ-ერთი მთავარი სეგმენტი.
- თურქეთი მსოფლიოში მე-7 უმსხვილესი ბამბის მწარმოებელია (2020). ამასთან, პროგნოზის მიხედვით, მოსალოდნელია, რომ გაიზრდება როგორც ბამბის პლანტაციების ფართობი, ასევე წარმოების მოცულობა.

პროდუქტი: საოჯახო თეთრეული, დაპრინტული, ბამბის, არა ნაქსოვი ან ხელით ნაქარგი

HS კოდი: 630221

წარმოშობის წესი: წარმოება ნაქსოვი ძაფისგან ან შეუღებავი ქსოვილისგან, იმ პირობით, რომ გამოყენებული შეუღებავი ქსოვილის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 40%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა:

- ბამბა (ან ბამბის ქსოვილი შეღებილი ან შეუღებავი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჭრისა და კერვის პროცესი გადატანილია საქართველოში)
- საღებავი
- სხვადასხვა ფერის საკერავი ძაფი
- შესაფუთი მასალები

EU MFN ტარიფი: 12%

ვაჭრობის სტატისტიკა

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): 2%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირში: 16%

თურქეთის ექსპორტი 2020 წელს: € 175,158,000

საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €0 (€0 მსოფლიოში)


მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €1,504,328,000

- თურქული საოჯახო ტექსტილის ინდუსტრია მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერია პროდუქციის ფართო ასორტიმენტითა და უმაღლესი ხარისხით, განსაკუთრებით,

პირსახოცების, თეთრეულისა და გადასაფარებლების, ფარდების, ტულის, ნაქარგებისა და გიპიურის წარმოებაში.

- ბევრი დეტალი - ნედლეულისა და წარმოების ტექნიკის/მანქანა-დანადგარების ჩათვლით, არის 100%-ით ადგილობრივი.
- 2020 წლის მდგომარეობით, თურქეთი მე-3 ადგილზეა მსოფლიოში საოჯახო თეთრეულის (ბამბის, დაპრინტული, არანაქსოვი) ექსპორტიორთა შორის, მას უსწრებს მხოლოდ პაკისტანი და ჩინეთი (სურათი 8, მარცხნივ).
- თურქული თეთრეულის 80%-ის ექსპორტი მიდის ევროპის ქვეყნებში, რომელთა შორის უმსხვილესი იმპორტიორია გერმანია, თეთრეულის მთლიანი იმპორტის 34.5%-ით, შემდეგ მოდის საფრანგეთი და იტალია (სურათი 8, მარჯვნივ).


სურათი 8: HS 630221 ბამბის, დაპრინტული, არანაქსოვი საოჯახო თეთრეულის ექსპორტიორები (მარცხნივ) და იმპორტიორები თურქეთიდან (მარჯვნივ) 2020 წ.



წყარო: www.oec.world

გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობა და პროდუქტის კომპლექსურობა:

RCA > 1



წყარო: www.oec.world

წარმოების პროცესი:

- შერევა
- მატყლის გაჩეჩვა
- დაჭიმვა, ტესტირება და ფთილების მომზადება
- დართვა
- საფეიქრო მონაკვეთის დაქსელვა
- დაჭრა
- დაქსელვა
- ქსოვა
- წმენდა და გათეთრება
- შეღებვა
- ჭრა და კერვა
- შეფუთვა

მუშახელი: მუშახელზე მოთხოვნა დამოკიდებულია წარმოების ავტომატიზაციის ხარისხზე - სრულად ავტომატიზირებული ქარხნისთვის საჭიროა ნაკლები მუშახელი, თუმცა, თეთრეულის წარმოება შეიძლება იყოს შრომატევადი პროცესი, თუ თეთრეული იკერება ინდივიდუალური ხელის საკერავი მანქანებით.

პროდუქტი ქალის, გოგონას შარვალი და შორტები, ბამბის, არანაქსოვი

HS კოდი: 620462

წარმოშობის წესები: წარმოება ძაფისგან ან უქარგავი ქსოვილისგან, იმ პირობით, რომ გამოყენებული ქსოვილის ღირებულება არ აღემატება პროდუქტის წარმოების ფასის 40%-ს.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა: ბამბის შარვლის წარმოებისთვის საჭირო ძირითადი ნედლეულია: ბამბის ქსოვილი, საღებავი, სხვადასხვა ფერის სამკერვალო ძაფი, ღილები, სარჩული, ელვა, ეტიკეტები, შესაფუთი მასალები.

EU MFN ტარიფი: 12%

ვაჭრობის სტატისტიკა

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): 0.2%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში: 13%


თურქეთის ექსპორტი 2020 წელს: €768,152,000

საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: € 97,000 (€ 1,688,000 მსოფლიოში)

მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €15,343,855,000


- თურქეთი ქალის ან გოგონას შარვლისა და შორტის (ბამბის, არანაქსოვი), მე-3 უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში. 2020 წელს, ქალებისა და გოგონებისთვის განკუთვნილი შარვლისა და შორტების (ბამბის, არანაქსოვი) ყველაზე მსხვილი ექსპორტიორები იყვნენ ჩინეთი (4,23 მილიარდი დოლარი), ბანგლადეში (3,11 მილიარდი დოლარი), თურქეთი (1,24 მილიარდი დოლარი), ესპანეთი (1,13 მილიარდი დოლარი) და გერმანია (931 მილიონი აშშ დოლარი).
- თურქული ქალისა და გოგონას შარვლისა და შორტების ექსპორტის 88% მიდის ევროკავშირის ქვეყნებში, რომელთა შორის დომინირებს ესპანეთი, 22.9%-ით, მას მოსდევს გერმანია (17.7%), დიდი ბრიტანეთი (11.1%), ნიდერლანდები (9.72%), და დანია (სურათი 9, მარჯვნივ).

სურათი 9: HS 620462 ქალის/გოგონას შარვლებისა და შორტების (ბამბის, არანაქსოვი) ექსპორტიორები (მარცხნივ) და იმპორტიორები თურქეთიდან (მარჯვნივ), 2020 წ.



წყარო: www.oec.world

გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობა და პროდუქტის კომპლექსურობა:
 $RCA > 1$



წყარო: www.oec.world

წარმოების პროცესი:

- წინასწარმო (PP) პროცესი
- ქსოვილების შერჩევა მყიდველის მიხედვით
- ქსოვილის, დეტალების და აქსესუარების შესყიდვა

- ქსოვილისა და ტილოების შენახვა საწყობში
- ქსოვილისა და დეტალების ხარისხის შემოწმება
- შაბლონის დამზადება და შეფასება
- მარკერის დაგეგმვა და ჭრა
- ქსოვილის გაშლა და ჭრა
- მოჭრილი კომპონენტების მონიშვნა და შეკვრა
- შარვლის შეკერვის პროცესი
- შეკერილი ტანსაცმლის ხარისხის შემოწმება
- შარვლის რეცხვა
- დასრულების პროცესი (შარვლის დაწნეხვა და დაუთოება)
- შარვლის დაკეცვა და შეფუთვა
- შეფუთული შარვლის საბოლოო შემოწმება


მუშახელი: მუშახელზე მოთხოვნა დამოკიდებულია წარმოების ავტომატიზაციის მასშტაბზე; თუმცა, ტექნოლოგიების მიუხედავად, ტანსაცმლის სექტორი რჩება ყველაზე შრომატევად სფეროდ ინდუსტრიებს შორის.

6. პროდუქტი: ფეხსაცმელი

HS კოდი: 640399

წარმოშობის წესები: წარმოება ნებისმიერი სასაქონლო პოზიციის მასალებისგან, გარდა ზედანაწილზე მიმაგრებული ძირისა ან სხვა ძირის კომპონენტები, რომლებიც გაერთიანებულია 6406 კოდში.

წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალა: ზედა ნაწილი – ტყავი; ძირი – რეზინის, პლასტმასის, კომპოზიტური ტყავის.



EU MFN ტარიფი მარტივი საშუალო: 7.6%

ვაჭრობის სტატისტიკა:

თურქეთის ექსპორტის CAGR (2016-2020): 12%

თურქეთის ექსპორტის წილი ევროკავშირის იმპორტში 2020 წელს: 1%


თურქეთის ექსპორტი 2020 წელს: €73,308,000

საქართველოს ექსპორტი EU27-ში 2020 წელს: €32,000 (€91,000 მსოფლიოში)


მსოფლიო ექსპორტი 2020 წელს: €21,323,826,000

- თურქეთის ფეხსაცმლის ექსპორტმა 2021 წელს 1 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია - რაც რეკორდული მაჩვენებელია და 2020 წელთან შედარებით 22,9%-ით ზრდას ასახავს.
- თურქეთის ფეხსაცმლის ექსპორტის უმეტესი ნაწილი ევროპის ქვეყნებში მიდის, რომელთა შორის ყველაზე დიდი იმპორტიორები არიან გერმანია, ნიდერლანდები, რუმინეთი, ესპანეთი, იტალია და პოლონეთი.

სურათი 10: HS 640399 ფეხსაცმლის მსოფლიოს საუკეთესო ექსპორტიორები (მარცხნივ) და იმპორტიორები (მარჯვნივ), 2020 წ.



გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობა და პროდუქტის კომპლექსურობა:
ურთიერთდამოკიდებულება VS ქვეყნის კომპლექსურობა HS 640399 კოდისთვის




წყარო: www.oec.world

წარმოების პროცესი:

- ქსოვილის შტამპირება
- ზედა ნაწილის და დაბაშის აწყობა
- ზედა და ქვედა ნაწილების მიმაგრება

მუშახელი: ფეხსაცმლის წარმოება შრომატევადი პროცესია; სავარჯიშო ფეხსაცმლის მრავალი კომპონენტის წარმოების ღირებულება ცხადყოფს საჭირო კვალიფიციური შრომის აუცილებლობას. წარმოების ყოველი ეტაპი მოითხოვს სიზუსტეს და უნარებს, ხოლო ხარჯების შესამცირებლად გარკვეული დეტალების შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს არასრულფასოვანი ფეხსაცმლის წარმოება.



დამატებითი ინფორმაცია

კვლევის ანგარიშის ვრცელი ინგლისურენოვანი ვერსია ხელმისაწვდომია ბმულზე:
<https://drive.google.com/file/d/1bXmEwLZYGGpJ-QsnMAIch-waE9GmfhUG/view>

ქართული და თურქული კომპანიების სია: იქვე, გვ. 97-103